

ჩუხჩუხელასებრების (Diptera, Syrphidae) მრავალფეროვნების კვლევა
სიმაღლის გრადიენტში, კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე
თინათინ ჩხარტიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან მუმლაძე პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილი, 2021

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თინათინ ჩხარტიშვილი

თარიღი: 5 ივლისი 2021

სარჩევი

განაცხადი.....	ii
სარჩევი.....	iii
აბსტრაქტი.....	iv
შესავალი.....	1
მასალა და მეთოდები	5
საკვლევი ტერიტორია და მონაცემთა შეგროვება.....	5
მონაცემთა ანალიზი	8
შედეგები.....	10
გარჩეული სახეობები და ინდივიდები	10
სახეობების მრავალფეროვნება და ლანდშაფტური ტიპები	13
სახეობების მრავალფეროვნება სიმაღლის გრადიენტში.....	15
რეგრესიული ანალიზი	16
დისკუსია.....	19
კონტრიშის დაცული ტერიტორიის ფაუნისტური აღწერა	19
ჩუხჩუხელასებრების გავრცელება სიმაღლის გრადიენტში.....	20
მადლობა.....	23
ბიბლიოგრაფია	24
გამოყენებული ინტერნეტ რესურსი.....	30
დანართები	31

აბსტრაქტი

მსოფლიოს მასშტაბით სიმადლობრივ ტრანსექტზე სახეობების განაწილება არაერთი ცხოველის თუ მცენარის მაგალითზეა შესწავლილი. საქართველოში ჩუხჩუხელასებრების ოჯახის შესახებ არც ისე ბევრი ინფორმაცია მოიპოვება, მითუმეტეს სახეობების გავრცელების საკითხზე. სწორედ ამ მიზეზით შევისწავლე ჩუხჩუხელასებრების სახეობების გავრცელება სიმალის გრადიენტში (403-დან 2458 მ - მდე), კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე. ჯამში 891 ინდივიდი გავარჩიე, რომლებიც 28 გვარის 75 სახეობას წარმოადგენენ. მორფოლოგიური კვლევით გამოვყავი 13 საქართველოსათვის ახალი სახეობა. ჩუხჩუხელების სახეობრივი მრავალფეროვნების განაწილება დამოკიდებულია სიმალესა და ლანდშაფტურ ტიპზე. სახეობების უმეტესობა შუამთის მდელოს ანიჭებს უპირატესობას. ექსტრაპოლირებული და რეალური მონაცემების მიხედვით ჩუხჩუხელასებრებს ზარის ფორმის გავრცელება ახასიათებთ, ასევე შესაძლოა, რომ მათზე შუა ზონალური ეფექტიც (MDE) მოქმედებდეს.